თურქეთი და ევროკავშირში მისი გაერთიანების პრობლემა

ლაშა ხოზრევანიძე
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბათუმი, საქართველო

აბსტრაქტი

მეოცე საუკუნის ოციან წლებში თურქეთიში დაიწყო ქვეყნის მომავლისთვის განსაკუთრებული პოლიტიკური პროცესები. კერძოდ, პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა ქემალ ათათურქმა და შექმნა თურქეთის რესპუბლიკა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თურქი ხალხის ევროპულ ვექტორზე გადაყვანას. ყოველივე ზემოაღნიშნულმა ახალი ფანჯარა გაუხსნა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებს.

აღსანიშნავია, რომ თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობების ისტორია საფუძველს იღებს ჯერ კიდევ 1987 წლიდან, მაშინ როდესაც ოფიციალურმა ანკარამ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი შეიტანა. ზემოხსენებული პროცესის წარმატებით დაგვირგვინებისთვის 1990-2000 წლებში თურქეთის რესპუბლიკამ ქვეყნის შიგნით არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა, რომლებიც პასუხობდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნისთვის წაყენებულ დეკლარირებულ კრიტერიუმებს. ზემოხსენებულმა რეფორმებმა არ დააყოვნა და ევროკავშირისგან თურქეთმა პირველი სიგნალი მიიღო, რაც აისახა 1995 წელს თურქეთის რესპუბლიკის ევროპის საბაჟო კავშირში გაწევრიანებით.

2002 წელს თურქეთის ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვიდა „სამართლიანობისა და აღმავლობის პარტია“, რომელიც პარტიის ძირითად პოლიტიკურ იდეოლოგიად სწორედ ევროკავშირში გაწევრიანებას ისახავდა მიზნად. სახელისუფლებო პარ-

ტიამ გააგრძელა დაწყებული პოლიტიკური რეფორმები ქვეყნის შიგნით, რომელიც მოიცავდა საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, ასევე ვრცელ პაკეტს საკონსტიტუციო ცვლილებებისა, რომელიც უნდა გამხდარიყო თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებისთვის საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილების საფუძველი.

სტატიაში არის განხილული მთელი რიგი პრობლემები და მოყვანილია ის ისტორიული წინაპირობები, რომლებიც ხელს უშლიან თურქეთის რესპუბლიკის ევროკავშირში გაწევრიანებას. ეს იქნება ქვეყნის შიდა პოლიტიკური კრიზისები თუ საკანონმდებლო ხარვეზები.

საძიებო სიტყვები: თურქეთი; ევროკავშირი; ქემალ ათათურქი; ერდოღანი; „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“.

შესავალი

თურქეთის რესპუბლიკას, ევროკავშირში გაწევრიანებაში მთელი რიგი დამაბრკოლებელი საგარეო და საშიანო ფაქტორები უშლიდა და უშლის ხელს (ეს იქნება ეკონომიკური საკითხები ევროკავშირთან მიმართებაში თუ ევროკავშირის სარეკომენდაციო საკანონმდებლო სივრცის არარსებობა, რომელიც ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად უდგას თურქეთს მიზნის მისაღწევად). მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხად რჩება თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში საბერძნეთის პოზიცია და კვიპროსის საკითხი, ასევე დღემდე უდიდეს გამოწვევად რჩება ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვა. ამას ემატება ევროკავშირის წევრი რიგი ქვეყნების სკეპტიკური დამოკიდებულება თურქეთის მიმართ, რომლებიც თავს იკავებენ თურქეთის სიდიდის მქონე ქვეყნის კავშირში მიღებაზე. რიგი წამყვანი ქვეყნები დღემდე თვლიან, რომ თურქეთის რელიგიური ფაქტორის გამო ის განსხვავდება ევროკავშირის ფასეულობებისგან.

მეთოდი

წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული

მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრ-აქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები

ბოლო წლებში თურქეთის რესპუბლიკაში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა (დაიწყო რეპრესიები და პოლიტიკ-ური ნიშნით განსხვავებული აზრის მქონე მოქალაქეების, მათ შორის საჯარო მოხელეების დევნა და პოლიტიკური სარჩულით დაპატიმრებები), ასევე თურქეთის ავტორიტარულ საპრეზიდე-ნტო სისტემაზე გადასვლამ, მნიშვნელოვნად შეაფერხა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები, რაც აისახა ევროკავშირის მხრიდან თურქეთზე ფინანსური დახმარების შეწყვეტით. გარდა ზემოაღნიშნულისა, ევროპარლამენტარებმა მხარი დაუჭირეს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების შეწყვეტას.

მიუხედავად დღეს არსებული არც თუ სახარბიელო ურთიე-რთობებისა, ვფიქრობ, სამომავლოდ ამ ორ სუბიექტს შორის კიდევ ერთხელ გაიხსენბა ახალი პოლიტიკური ფანჯარა და აღდგება მჭიდრო კავშირები, რომელიც როგორც თურქეთი-სათვის, ასევე ევროკავშირისათვის მნიშვნელოვანი იქნება. ამ ყველაფერს კიდევ უფრო უმაგრებს საფუძველს უკრაინა-რუსე-თის ომი და თურქეთის რეგიონალური მნიშვნელობა ომის შემდ-გომ პოლიტიკურ პროცესებში.

დისკუსია

თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა მუსლიმურ სამყაროში, რომ-ელიც ევროკავშირთან ურთიერთობებს ყოველთვის დიდ მნიშ-ვნელობას ანიჭებს.

სანამ უშუალოდ გადავალთ მათ ურთიერთობებზე, მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს თავად ევროკავშირი. ევრ-ოპის გაერთიანების იდეა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გაჩნდა, მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

1949 წელს ლონდონში დაარსდა პირველი ინტეგრირებული ორგანო - ევროპის საბჭო. მაგრამ იმ დროს ევროპის სახელმწი-ფოთა უმრავლესობა მზად არ აღმოჩნდა დაეთმო სახელმწიფო

სუვერენიტეტი ევროპული პოლიტიკური კავშირისთვის. ამის გამო ევროპელებმა დროებით თავი შეიკავეს პოლიტიკური კავშირისაგან და გადაწყვიტეს მისი განხორციელება ეკონომიკური ინტეგრაციით დაეწყოთ. 1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა წამოაყენა საფრანგეთსა და გერმანიის ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის მართვის ერთობლივი ორგანიზაციის შექმნის წინადადება. მისი აზრით ასეთი კავშირი შეარიგებდა ფრანგებსა და გერმანელებს და მომავალში გამორიცხავდა ომებს მათ შორის.

1952 წელს შეიქმნა „ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობის ევროპული თანამეგობრობის კავშირი“. ამ ორგანიზაციაში, საფრანგეთისა და გერმანიის გარდა, გაერთიანდნენ იტალია და ბენილუქსის ქვეყნები, სულ ექვსი სახელმწიფო. მალე ეს ორგანიზაცია გასცდა მრეწველობის ერთი დარგის ჩარჩოებს (ანთელავა, 2004: 13).

1957 წელს, რომში „სამთა კავშირის“ წევრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის“ შექმნის შესახებ. 1967 წელს შეიქმნა სამივე ევროპული ორგანიზაციის - „სამთამადნო კავშირი“, „ეკონომიკური თანამეგობრობა“ და „ევროატომი“ - ერთიანი ხელმძღვანელობა. ამგვარად ჩამოყალიბდა „ევროპის თანამეგობრობა“.

ევროპის თანამეგობრობის სრულყოფის ხანგრძლივი პროცესი დასრულდა 1992 წლის მარტში, ევროპის კავშირის ხელშეკრულების ხელმოწერით და იგი საბოლოოდ ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს, როდესაც კავშირმა იურიდიული სტატუსი მიიღო.

რა მიზანს ისახავდა ევროკავშირის შექმნა?

გაერთიანება მიზნად ისახავდა საერთო ბაზრის დაარსებით და წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შეჯერებით გაერთიანების სივრცეში ჰარმონიული ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტი და გაწონასწორებული გაფართოების, სტაბილურობის ამაღლების, ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარების უზრუნველყოფას.

ხელშეკრულების მიხედვით, ევროკავშირში გაწევრიანების უფლება აქვს ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლისთვისაც

მისაღებია მისი ფასეულობები და აკმაყოფილებს დემოკრატიის ნორმებს. „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ მიხედვით საჭიროა „კანდიდატმა ქვეყანამ მიაღწიოს ინსტიტუტების სტაბილურობას, რომლებიც დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების პატივისცემასა და უმცირესობების უფლებების დაცვის გარანტი იქნება“.

ყველაზე მეტად ფასეული, რაც ევროკავშირმა შეიმუშავა, არის საზღვრების თავისუფალი გადალახვის პრინციპი, ანუ წევრ ქვეყნებს შორის საქონლის, მუშახელის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გა დაადგილება - ე. წ. „ოთხი თავისუფლება“. შიდა საზღვრებში თავისუფალ გადადგილებას 1995 წელს ხელმოწერილი ,,შენგენის ხელშეკრულება“ არეგულირებს.

რაც შეეხება თურქეთთან ურთიერთობებს, საკითხი ცოტა სხვაგვარადაა და უამრავი სპეციფიკურობით ხასიათდება. თურქეთს უკვე რამდენი ათეული წელია არ უღებენ კარს ევროპის ერთა თანამეგობრობაში.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ევროპის ეკონომიკური კავშირის შექმნიდან მოკლე პერიოდში, 1959 წლის ივლისში, თურქეთმა კავშირში გაწევრიანებაზე პირველი განაცხადი გაკეთა. იმავე წელს კავშირმა მას ასოცირებული ურთიერთობა შესთავაზა. ორმხრივი მოლაპარაკებები 1963 წლის 12 სექტემბერს „ანკარის შეთანხმების“ („თურქეთის რესპუბლიკასა და ევროპის ეკონომიკურ კავშირს შორის ასოციაციის შექმნის შესახებ“) ხელმოწერით დასრულდა. ამ შეთანხმებით დაიწყო თურქეთ-ევროპის კავშირის ურთიერთობების ისტორია. შეთანხმება ძალაში 1964 წლის 1 დეკემბერს შევიდა.

„ანკარის შეთანხმება“ მოიცავდა საბაჟო კავშირის შექმნას, რაც მხარეებს ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროებში დააახლოებდა. ამავე დროს, კავშირი თურქეთს ფინანსურად უნდა დახმარებოდა, რისთვისაც სპეციალური პროტოკოლები უნდა შემუშავებულიყო.

პირველი ფინანსური პროტოკოლით, რომელიც 1963-1970 წლებს მოიცავდა. ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა თურქეთს 157 მილიონი ეკიუს სესხი გამოუყო. უკვე 1972 წელს, კავშირის

წილი თურქეთის იმპორტში 1963 წელთან შედარებით 29 %-დან 42 %-მდე გაიზარდა.

მეორე და მესამე ფინანსურ პროტოკოლს ხელი 1970 და 1977 წლებში მოეწერა. 1970 წლის 23 ნოემბერს ხელი მოეწერა ასევე დამატებით პროტოკოლს, რომელიც საბაჟო კავშირის შექმნისაკენ წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

შეთანხმების მიხედვით, ევროპის ეკონომიკურ კავშირს თურქეთთან იმპორტზე ტარიფები და რაოდენობრივი ბარიერები უნდა გაეუქმებინა. დამატებითი პროტოკოლი კი მხარეებს შორის ადამიანური რესურსების თავისუფალი გადაადგილების საშუალებასაც იძლეოდა. სწორედ ამიტომ, საფუძველი ჩაეყარა თურქულ მიგრაციულ პროცესებს ევროპის ქვეყნებისაკენ.

1980-1983 წლებში თურქეთის ურთიერთობები ევროკავშირთან გაფუჭდა. ქვეყანაში 1980 წლის 12 სექტემბერს მომხდარი სამხედრო გადატრიალების გამო ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა თურქეთთან ურთიერთობების გაყინვა და მეოთხე ფინანსური პროტოკოლის დაბლოკვა გადაწყვიტა. ურთიერთობების დარეგულირება მხოლოდ 1983 წელს სამოქალაქო ხელისუფლების აღდგენისა და ეკონომიკის სფეროში რეფორმების დაწყების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

1987 წლის 14 აპრილს თურქეთმა კავშირში გაწევრიანებაზე განაცხადი შეიტანა. ევროკავშირის შეთანხმების 237-ე მუხლის თანახმად, ამის უფლება ევროპის ყველა ქვეყანას ჰქონდა. ეს განაცხადი გადაეგზავნა დასკვნის მოსამზადებელ კომისიას. მან, თავის მხრივ, ეს საკითხი გადაუგზავნა დეპარტამენტებს ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების შესაძლო შედეგების გამოსავლენად და ყველა საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შეგროვება დაავალა.

კანდიდატი ქვეყანა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებულ დემოკრატიისა და საერთო განვითარების ნორმებთან ახლოს უნდა ყოფილიყო. ამასთან, კომისია უნდა დარწმუნებული იმაში, რომ ახალი წევრის მიღება დამატებით პრობლემებს არ შექმნიდა. ორივე სავარაუდო შემთხვევის გაანალიზებით შემდეგი სურათი გამოიკვეთა: პირველი, თურქეთი უზარმაზარი გეოგრაფიული რეგიონი იყო, მოსახლეობით იგი წევრი ქვეყნების შესაბამის მაჩ-

ვენებლებს საგრძნობლად აღემატებოდა და, მეორე, მისი განვ-ითარების დონე საერთოევროპულზე შესამჩნევად დაბალი იყო. ეს ორი ფაქტორი თურქეთისთვის არასახარბიელო შედეგის მომ-ტანი აღმოჩნდა ევროკავშირთან დაახლოების მცდელობის გზაზე.

კომისიამ დასკვნა მოამზადა 1989 წლის 18 დეკემბრისთვის. მასში ნათქვამი იყო, რომ „არსებულ პირობებში თურქეთთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყება სასარგებლო არ იქნებოდა“. კომისიამ მოიყვანა როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური მიზეზები. ასევე, საბერძნეთსა და თურქეთს შორის დავის „ნეგატიური ეფექტი“ და „კვიპროსზე არსებული მდგომარეობა“, თუმცა ევროკავშირი აცხადებდა, რომ უნდა გაგრძელებულიყო თურქეთთან თანამშრომლობა, ხელი უნდა შეეწყოთ მის ევროპასთან დაახლოებისათვის, დახმარებოდნენ ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციის სწრაფ დასრულებაში (მაკარაძე, 2000: 47).

ორმხრივი თანამშრომლობა თანდათან გაღრმავდა და 1995 წლის 6 მარტს ევროკავშირმა და თურქეთის ასოციაციის საბჭომ საბაჟო კავშირის შექმნის საბოლოო ეტაპზე გადასვლისა და ფინანსური თანამშრომლობის განახლების შესახებ გადაწყვეტი-ლება მიიღო. საბჭომ ასევე გადაწყვიტა ურთიერთობათა ახალი სფეროების ათვისება და პოლიტიკური დიალოგის გააქტიურება.

1995 წლის 13 დეკემბერს გადაწყდა საბაჟო კავშირის შექმნა. ეს შეთანხმება ძალაში შევიდა 1996 წლის 1 იანვარს. ინსტიტუცი-ონალურ დონეზე კი შეიქმნა საკონსულტაციო ორგანო - საბაჟო კავშირის ერთობლივი კომიტეტი. ეს ფაქტი მნიშვნელოვან მოვ-ლენად იქნა შეფასებული თურქეთში. როცა 1995 წელს პრემიერ-მინისტრი თ. ჩილერი ბრიუსელიდან ჩამოფრინდა და საზეიმოდ განაცხადა: „თურქეთმა ხელი მოაწერა ისტორიულ შეთანხმებას ევროკავშირთან“, თურქეთში ამბობდნენ, რომ თ. ჩილერმა გააკ-ეთა ის, რაც თავის დროზე მ. ქ. ათათურქმა, რომელმაც მიმართა აზიური და ამასთან მუსლიმური ქვეყნის გზა პარიზისა და მთელი ევროპისაკენ“.

ამავე დროს, ევროკავშირის წარმომადგენელი ალენ ჟუპე აცხადებდა, რომ - „ევროკავშირის აზრით, თურქეთში მიღწეული

პროგრესი არაა საკმარისი, რადგანაც ქვეყანაში ისევ აქვს ადგილი ადამიანის უფლებების დარღვევას, იკრძალება გაზეთების გამოცემა, იდევნებიან ჟურნალისტები და ინტელიგენციის წამომადგენლები, ციხეში სხედან დეპუტატები თურქეთის პარლამენტის ე.წ. საზოგადოებრივი დემარშის გამო“.

შენიშვნების მიუხედავად ანკარა კმაყოფილებას გამოთქვამდა. თურქული პრესა წერდა, რომ საბაჟო კავშირის ხელმოწერის შემდეგ მკვეთრად გამოცოცხლდა ფინანსურ-ეკონომიკური ცხოვრება. ამასთან, თურქეთში აღნიშნავდნენ, რომ თავს არ იტყუებდნენ ფუჭი იმედებით და რომ მატერიალური დახმარება ქვეყანას თავისთავად წაიყვანდა ევროკავშირისაკენ, ამისათვის კი თურქეთს რეფორმები უნდა გაეგრძელებინა.

თურქეთის კანონმდებლობა სახელმწიფო მონოპოლიებთან მიმართებაში უნდა დახვეწილიყო, რაც თურქეთსა და ევროპის კავშირის ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის მიმართ დისკრიმინაციის დაუშვებლობას გულისხმობდა. უახლოესი წლების განმავლობაში თურქეთის მხრიდან ეკონომიკური ურთიერთობების ხელისშემშლელი ბარიერები უნდა მოშლილიყო.

აღსანიშნავია რომ თურქეთი ერთადერთი მუსლიმური ქვეყანაა, რომელსაც ევროკავშირში შესვლა სურს. 1996 წელს ორმხრივ ურთიერთობებში უსიამოვნო მომენტი გაჩნდა. თურქეთს დაეძაბა ურთიერთობა საბერძნეთთან, რამაც ევროკავშირთან ურთიერთობებზეც იქონია გავლენა. 1996 წლის 15 ივლისს გენერალური საქმეების საბჭომ მიიღო MEDA-ს პროგრამაში გათვალისწინებული პროექტები ხმელთაშუაზღვის 12 სახელმწიფოსათვის, მათ შორის თურქეთისთვისაც. მაგრამ, იმავე წლის 19 სექტემბერს ევროპარლამენტის რეზოლუციით დაიბლოკა თურქეთში მათი განხორციელების იდეა. ეს რეზოლუცია ძირითადად იყო განპირობებული თურქეთში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული ვითარებით. ჟაკ სანტერის ხელმძღვანელობით ევროკომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „პროგრამა 2000 წლისათვის“ ფაქტობრივად თურქეთს ევროკავშირის გაფართოების პროცესიდან გამორიცხავდა, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებდა საბაჟო კავშირის დამაკმაყოფილებელ მუშაობას და თურ-

ქეთის შესაძლებლობას პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ევროკავშირის ნორმების შესრულების შესახებ.

მანამდე კი იყო 1997 წლის 12 დეკემბრის ლუქსემბურგის სამიტი. თურქეთი ამ სამიტზე კანდიდატ ქვეყანად დასახელებას ელოდა, ამიტომ უარყოფითმა შედეგმა ქვეყნის ოფიციალური პირების უკმაყოფილება გამოიწვია. პოლიტიკურ ელიტაში დაიწყეს საუბარი ევროპასთან ურთიერთობების შენელებაზე. ლუქსემბურგის სამიტის შემდეგ ევროკავშირის ლიდერებისათვის გამართულ სადილზე თურქეთის პრემიერ-მინისტრ მესუთ ილმაზმა მიპატიჟება არ მიიღო და ღიად გამოხატა უკმაყოფილება. მან გერმანიის მაშინდელ კანცლერს ჰ. კოლს ანტითურქულ განწყობილებაში დასდო ბრალი, რამაც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კრიზისი გამოიწვია.

სავსებით გასაგებია საბერძნეთის წინააღმდეგობა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ, გერმანიის წინააღმდეგობა კი თურქეთის კანდიდატურის მიმართ ძირითადად განპირობებული იყო გერმანიაში თურქი მიგრანტების მოზღვავებით. თურქული დიასპორა გერმანიაში უკვე რამდენიმე მილიონ ადამიანს ითვლიდა და გერმანიას გარკვეულ შიდა პრობლემებს უქმნიდა.

გერმანიაში თურქი მიგრანტების შემოსვლის პროცესს საფუძველი ჩაეყარა 1961 წელს დადებული ორმხრივი შეთანხმებით. მას შემდეგ, რაც გერმანიაში შავ მუშებზე მოთხოვნა გაიზარდა, ქვეყნის მთავრობამ განვითარებად ქვეყნებიდან იაფი მუშახელის მოზიდვა გადაწყვიტა და ღია კარის პოლიტიკის შესახებ განაცხადა. ამას მოჰყვა თურქეთთან ხელშეკრულების გაფორმება, რომლის მიხედვითაც თურქი მუშები დროებით სამუშაოდ გაიგზავნებოდნენ დასავლეთ გერმანიაში. ასე დაიწყო თურქი მუშახელის უწყვეტი გადინების პროცესი, მაგრამ არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაში. დროებით გასული მუშახელის ევროპაში ყოფნამ კი შემდგომ მუდმივი ხასიათი შეიძინა.

შედარებით მისაღები მდგომარეობაა თურქთა ახალგაზრდა თაობაში. ისინი არ გამოთქვამენ გერმანულ საზოგადოებისაგან მოწყვეტის სურვილს, პირიქით, კმაყოფილი არიან, რომ საშუალება აქვთ განათლება მიიღონ ევროპის ერთ-ერთი განვითა-

რებული ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, ფლობენ გერმანულ ენას და აქვთ გარკვეული წარმატებებიც, ასევე ადგილი აქვს შერეული ოჯახების შექმნასაც.

არაერთი თურქი წარმატებით მოღვაწეობს გერმანიის ეკონომიკის, განათლების, პოლიტიკის სფეროში. ხოლო გერმანიის ურთიერთობა თურქეთთან, ოფიციალურ დონეზე, თავშეკავებული და კეთილგანწყობილია. გერმანია დიდ ტექნიკურ დახმარებას უწევს თურქეთს თანამედროვე საბრძოლო იარაღის დამზადებაში. ხორციელდება ერთობლივი პროექტები.

თურქეთთან საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში პირველობას დღემდე გერმანია ინარჩუნებს. გერმანული კაპიტალი აქტიურად მონაწილეობს თურქეთის სავაჭრო - ეკონომიკურ გარიგებებში, მრეწველობასა და ფი ფინანსურ ოპერაციებში. აქ საწარმოები აქვს დაარსებული გერმანიის ცნობილ ფირმებს. უცხოეთის ბანკებს შორის კი წამყვანი ადგილი უკავია – ვესტ-დოიჩე ლანდეს ბანკს, დოიჩე ბანკს, დრეზდენ ბანკს და სხვ. თურქეთში ასობით გერმანული ფირმა ეწევა საქმიანობას (600 - ზე მეტი). აქ ჩადებულმა ინვესტიციებმა რამდენიმე მილიარდ მარკას მიაღწია.

ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები თურქეთის რელიგიურ განსხვავებაზე ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა არა ოფიციალურ საუბრებში. ერთ-ერთი ევროპელი, ვინც ამის შესახებ ღიად თქვა, იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ჟაკ ატალი. მან განაცხადა, რომ: „თურქეთის ევროკავშირში შესვლის ძირითადი ხელისშემშლელი მიზეზი რელიგიური განსხვავება – ისლამია“.

ხშირად დავის საგანი ხდება თავად ტერმინი ევროპაც. იგი მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინია თუ საერთო ფასეულობების მატარებელი გაერთიანება. მეორე განსაზღვრების შემთხვევაშიც თურქეთის ადგილს ქრისტია-ანულ სახელმწიფოთა კლუბში ხშირად ვერ ხედავენ. ამ საკითხის ირგვლივ დავა კიდევ უფრო აქტუალური გახდა XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მაშინ როცა თურქეთის ხელისუფლებაში პროისლამური მიმართულების ძალები მოვიდნენ. ეს ევროპას აიძულებდა

კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყო, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა.

თურქეთის პრეზიდენტი თ. ოზალი მიზეზს მუსლიმობაში ხედავდა: „ევროკავშირში არ მიღების ჭეშმარიტი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მუსლიმები ვართ, ისინი ქრისტიანები, მაგრამ ისინი ამას ღიად არ ამბობენ“. ყოფილი პრემიერი თ. ჩილერი ამბობდა: „ევროპის კულტურას ქრისტიანულ - ბერძნულ - რომაული სინთეზი უდევს საფუძვლად. ერთი კედელი უკვე დავანგრიეთ, ახალ კედელს ნუღარ ავაშენებთ. ნუ ვივლით რელიგიური დაყოფის გზით. თურქეთი თავისი დემოკრატიული სისტემის და ფასეულობების სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტიაა. ევროპას კი სტაბილურობა ესაჭიროება. აღმოსავლეთს დასავლეთისათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ჩვენი ევროპელი მოკავშირეები ამჟამად თურქეთს ისეთ ბუფერულ ქვეყანად მიიჩნევენ, რომელიც ევროპისათვის სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან რეგიონებს შორის მდებარეობს. მათ მიერ თურქეთის მუდმივად ბუფერულ რეგიონად მიჩნევა გონივრული გადაწყვეტილებაა, თუმცა სერიოზული ეჭვები მაქვს, რომ თურქები ამ მდგომარეობაში ყოფნას ბოლომდე დასჯერდნენ“.

ევროკავშირის მორიგი სამიტი 1998 წლის 15-16 ივნისს გაიმართა კარდიფში. მისი გადაწყვეტილება შედარებით რბილ ტონში იქნა მიღებული, მაგრამ თურქეთისთვის ის მაინც უარს ნიშნავდა. ამ სამიტის უმთავრესი შედეგი ევროკავშირის კომისიის მიერ შემუშავებული „ევროპული სტრატეგიის“ დამტკიცება იყო.

1998 წლის სექტემბერში ეკონომიკურ კომისიასა და თურქეთის ხელისუფლებას შორის „ევროპული სტრატეგიის“ განხორციელების დეტლეაბის გასარკვევად პირველი ტექნიკური დისკუსია გაიმართა, რამაც თურქეთის მზადყოფნა დაადასტურა თანამშრომლობაზე.

ანკარა აღნიშნავდა, რომ ევროკავშირის მომავალი სამიტი გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნებოდა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებისთთვის. მართლაც, დაძაბული ურთიერთობების ფონზე, მდგომარეობა დადებითისაკენ შემობრუნდა. 1999 წლის 10 დეკემბრის ამ სამიტზე თურქეთი სხვა ქვეყნებთან

ერთად ევროკავშირის წევრობის სრულუფლებიან კანდიდატ ქვეყნად გამოაცხადდა.

თურქეთ - ევროკავშირის ურთიერთობაში მეტად მნიშვნელოვანი იყო 2000-2001 წლები. 2000 წლის დეკემბერში ევროკავშირის მორიგ სამიტზე ბრიუსელში გამოქვეყნდა და თურქეთს დელეგაციას გადაეცა ევროკავშირის გაფართოების კომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტი „ევროკავშირში თურქეთის შესვლის საკითხებზე პარტნიორობის შესახებ“ (ხოზრევანიძე, 2019: 56).

ეს დოკუმენტი შეიცავდა იმ კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომლებსაც თურქეთი გარკვევით უნდა შეესაბამებოდეს. გადასაჭრელ რთულ საკითხებს შორის (კვიპროსის პრობლემა, ეგეოსის ზღვაში საბერძნეთთან ტერიტორიული გამიჯვნა, ქურთების უფლებები), ერთ-ერთი ყველაზე მწვავე იყო კვიპროსის პრობლემა. დოკუმენტი პარტნიორობის შესახებ თურქეთს ავალებდა „აქტიურად დაეჭირა მხარი გაეროს გენერალური მდივნის ძალისხმევისთვის“ კვიპროსის საკითხის გადასაჭრელად. თუმცა თურქეთი ჩრდილოეთ კვიპროსს განიხილავს როგორც თავისი სამხედრო სტრატეგიული ინტერესების უზრუნველყოფის საკვანძო ელემენტს.

თურქეთის კიდევ ერთი მწვავე პრობლემა, ასახული დოკუმენტში, იყო ქურთების საკითხი. აქ აღვნიშნავთ, რომ თურქეთის კონსტიტუციაში სიტყვა „უმცირესობის“ გაგება რომელიმე ეთნოსის მიმართ არ არსებობს და ქვეყნის ქურთ მოსახლეობას წართმეული აქვს იურიდიული წინაპირობა, რათა მიაღწიოს თავისი უფლებების დაკმაყოფილებას. 2001 წლის 13 ნოემბერს კომისიის მიერ გამოქვეყნებული იქნა ანგარიში თურქეთთან დაკავშირებით. დასკვნით ეტაპზე გადასვლის შეფერხების მოტივაცია ის იყო, რომ თურქეთი მოლაპარაკების დასაწყებად არ აკმაყოფილებდა პოლიტიკურ კრიტერიუმებს, ამდენად, მას არ შეეძლო დასკვნით ეტაპზე გადასვლაც. ანგარიშში დადებითად იყო შეფასებული ქვეყნის მთავრობის მიერ გაწეული ძალისხმევა კონსტიტუციის შეცვლასთან დაკავშირებით, რომლის მიზანი იყო დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების გაფართოება. მაღალი შეფასება მიეცა ადამიანის ახალ უფლებებს, აგრე-

თვე თავისუფლებებს, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს მიენიჭა. მაგრამ კრიტიკის საგნად ისევ დარჩა უშიშროების საბჭოს ფართო უფლებამოსილება, ქვეყანაში სიკვდილის დასჯის შენარჩუნება. ჩიხში იყო კვიპროსის პრობლემის გადაწყვეტის პროცესიც. მთლიანობაში ხაზი გაესვა იმას, რომ თურქეთი ერთადერთი კანდიტატი ქვეყანაა, რომელმაც არ მიუღწევია კო-პენჰაგენის კრიტერიუმებისთვის, გარკვეული ცვლილებების მიუხედავად.

თურქეთის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებულ 2001 წლის ოქმში დადგენილია შემდეგი მოთხოვნები: თურქეთში სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებაზე მორატორიუმის მხარდაჭერა, ხოლო შემდგომში სიკვ-დილით დასჯის გაუქმება და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ოქმი №6-ის რატიფიკაცია.

თურქეთმა „ქვეყანა კანდიდატის“ მანდატით აიღო ვალდებულებები, რომელსაც ის განახორციელებდა. მათ შორის ოთხი ქურთული წარმოშობის ქალი - პარლამენტარის გათავისუფლება იყო. 2004 წელს თურქეთის მეჯლისმა მიიღო გადაწყვეტილება და ათწლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა პარლამენტარი ქალბატონები: ორხან დოგანი, ჰათივ დიკოლი, სალჰიმ სადაკი და სახაროვის პრემიის ლაურეატი ლეილა ზანე. მანამდე ოთხმა ადვოკატმა შესაბამისი სარჩელით მიმართა თურქეთის სასამართლოს. სარჩელი დაუკმაყოფილებელი დარჩა. ბრიუსელმა კი ეს ფაქტი გამოწვევად მიიღო: „ევროკავშირი შეურაცხყოფილია, ჩვენ ანკარისაგან დემოკრატიას ვითხოვდით“, - აღნიშნა ევროპარლამენტის წევრმა ლუიჯი ვინჩიმ.

მთელი ამ წლების განმავლობაში ეს ოთხი ქურთი პატიმარი ქალბატონი თურქეთში არსებული უკანონობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ევროკავშირი ამ ფაქტზე აქცენტირებით მიუთითებდა, რომ თურქეთი არ იყო მზად ევროკავშირის წევრობისათვის.

2004 წლის ევროკავშირის გაფართოების შემდეგ ისევ განახლდა საუბარი ამ ალიანსში თურქეთის გაწევრიანების შესაძლებლობაზე, მაგრამ ევროპის ქვეყნებს შორის ვერ ხდებოდა პოზიციების შეჯერება მათი განსხვავებული დამოკიდებულების გამო. მაგალითად, კლაუდია როზიმ, გერმანიის მთავრობაში ადამ-

იანთა უფლებებზე პასუხისმგებელმა და ხელმძღვანელმა თურქულ - გერმანული მეგობრული ჯგუფისა, განაცხადა, რომ დაიცავს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების იდეას, „რადგანაც გერმანიას სჭირდება ძლიერი თურქეთი“. თურქი ჟურნალისტებისათვის გამართულ შემაჯამებელ შეხვედრაზე კ. როზი გამოვიდა ანგელა მერკელის წინადადების წინააღმდეგ, რომელიც თურქეთის ევროკავშირში პრივილეგირებულ პარტნიორობაზე თანხმდებოდა მხოლოდ. „თურქეთი ევროპის კატეგორიებში მრავალ ასპარეზზე იკავებს ადგილს. ვერ ვხვდები რატომ არის, რომ თურქეთი ზოგჯერ ევროპას ეკუთვნის, ზოგჯერ კი არა“, - განაცხადა იგივე როზიმ. მან შეაფასა ბოლო პერიოდში თურქეთში განხორციელებული რეფორმები და აღნიშნა: „ერთი პერიოდი ვერც კი წარმომედგინა, რომ თურქეთში გაუქმდებოდა სიკვდილით დასჯა“ (მენთეშაშვილი, 2004:38).

ანგელა მერკელმა, როცა ის გერმანიის კანცლერი გახდა, თავისი ევროპული ტურნე საფრანგეთში ჩასვლით დაიწყო (2005 წლის ნოემბერი). მან პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართა პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან. მოლაპარაკების შემდეგ გამართულ პრეს - კონფერენციაზე იგი შეეხო თურქეთსაც და განაცხადა: „თურქეთის ევროკავშირთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ვფიქრობ, მოლაპარაკებები მისი გაწევრიანების შესახებ ხანგრძლივი აღმოჩნდება“. გერმანიის მხარე დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა და ეკიდება ამ საკითხს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა კი არაერთხელ დააფიქსირა თანადგომა თურქეთის ევროპულ ოჯახში მიღებაზე. მისი თქმით: „ჩვენთან ერთად თურქეთის ყოფნა ევროპის ინტერესებში შედის“.

აშშ ასევე მხარს უჭერს თურქეთის გაწევრიანებას ევროკავშირში. მისი მხარდაჭერა თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვანია. აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უმცროსი) აღნიშნავდა, რომ „თურქეთი ევროპის ძალაა“, ასევე „თურქეთის წევრობა ამავდროულად ისლამის ნაწილსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების წინსვლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს“. ჯ. ბუში თურქეთს ცივილიზაციებს შორის ხიდად მოიხსენიებს: „ისლამის სამყაროში თავის-

უფლების მომავალი ამ ქვეყნის მოქალაქეების მიერ უნდა განისაზღვროს და არა სხვების“.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტ. ბლერმა დადებითი პოზიცია თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე BBC - ის პირდაპირ ეთერში გააკეთა.

საინტერესოა მსოფლიო ბანკის ზოგიერთი მონაცემიც, რომლის მიხედვითაც თურქეთის ეკონომიკა ევროპის არაერთი ქვეყნის ეკონომიკაზე დიდია. მაგალითად, მისი ეკონომიკა ბევრად აღემატებოდა ევროკავშირის 4 ახალი წევრი ქვეყნის ანალოგიურ მონაცემებს, იგი ცხრაჯერ მეტი იყო იმავე ბულგარეთის ეკონომიკაზე. მიუხედავად 2001 წლის კრიზისისა, თურქეთს ამავე წლის მონაცემების მიხედვით გააჩნდა 445 მილიარდი დოლარის ღირებულების მსყიდველობითი უნარი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ თურქეთი ევროკავშირის წევრი გახდებოდა, ეკონომიკის სიდიდის მიხედვით წევრ ქვეყნებს შორის მეექვსე ადგილს დაიკავებდა.

თუმცა, მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიო ეკონომიკის მაჩვენებლების 2004 წლის მოხსენებაში თურქეთი (ერთ სულ მოსახლეზე 2 626 ლირა) ეროვნული შემოსავლების მიხედვით საშუალო, ქვედა ჯგუფის ქვეყნებში მოხვდა. სწორედ ეს გახდა თავის დროზე ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ევროკავშირის დიდი გაფართოების პროცესს 2004 წელს იგი გამოეთიშა. ეს მონაცემები თურქეთის ეკონომიკის დიდ პერსპექტივებზე მეტყველებს. მაგრამ, ესოდენ დიდი ეკონომიკური პოტენციალის ქონის პირობებშიც შედარებით არადამაკმაყოფილებლად ჩანდა მიღწევები დემოკრატიის სფეროში გატარებული რეფორმების თვალსაზრისით.

თურქეთის ევროკავშირში მიღების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად, რა თქმა უნდა არაოფიციალურად, ასახელებენ მისი მოსახლეობის რაოდენობას. ამ ეტაპზე ის დაახლოებით 80 მილიონით განისაზღვრება.

დემოგრაფიული სურათის შესწავლის საფუძველზე, თურქეთში უახლოეს მომავალში ვარაუდობენ მისი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას. ზრდის ახლანდელი ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში მისი რაოდენობა უახლოეს ათ წელიწადში

შესაძლოა მიუახლოვდეს 100 მილიონს. თურქეთი ასეთ შემთხვევაში იქნება ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა ევროპის სივრცეში. მაგრამ მისი ამჟამინდელი რაოდენობაც კი შემაშფოთებელია ევროკავშირის ხელმძღვანელობისათვის. კავშირში გაწევრიანების შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით თურქეთი მოიპოვებს უფლებას გავლენა იქონიოს ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე. ევროპის ქვეყნებს კი თურქეთისთვის ამ უფლების მინიჭება (ათის კვოტის ფლობა) არ სურთ. ევროპა ასე ადვილად ვერ შეეგუება მისთვის ამხელა ბერკეტების გადაცემას.

თურქეთისათვის მოულოდნელობებით აღსავსე იყო 2004 წლის ევროკავშირის ბრიუსელის სამიტი. ამ სამიტმა თავის მხრივ ევროპას ახალი საზღვრები და ახალი პოლიტიკური რეალობა შესთავაზა და ამ რეალობაში თურქეთის ადგილი და როლი არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც მოელოდნენ ანკარაში. ევროკავშირის საზღვრებში მოექცა კიდევ ათი ქვეყანა. თურქეთში მტკივნეულად აღიქვეს მასში კვიპროსის ბერძნული ნაწილის გაწევრიანება,* ვინაიდან ამ შემთხვევაში საბერძნეთს ერთით მეტი ხმის უფლება ექნება კავშირში თურქეთის წინააღმდეგ. (ხოზრევანიძე, 2019:56).

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი კანდიდატი ქვეყანაა, ჯერ კიდევ არაა მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება მისი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. ქვეყანაში მიმდინარე წარმატებული დემოკრატიული ცვლილებები ეკონომიკის, განათლების, სამართლისა და სხვა სფეროებში, ვერ წყვეტს თურქეთის ევროპასთან გაიგივების, ევროპის ერთიან ცივილიზაციაში მისი მოაზრების საკითხს.

ევროკავშირსა და თურქეთს შორის მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ არაერთ თურქ სახელმწიფო მოღვაწეს სკეპტიკური განცხადების გაკეთებისაკენ უბიძგა. მაგალითად, 2002 წელს მეჯლისის თავმჯდომარემ ომერ იზგიმ განაცხადა, რომ თურქეთს ევროკავშირის გარდა სხვა არეალშიც გააჩნია ალტერნატივა. ამ განცხადებით მან ფაქტობრივად მხარი დაუჭირა ეროვ-

* კვიპროსის ბერძნული ნაწილი, მალტა, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი.

ნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივნის თუნჯერ კილინჯის მოსაზრებას - „ევროკავშირი თურქეთის ერთადერთი ალტერნატივა არ არის“.

ო. იზგიმ თურქულ - ამერიკული საზოგადოების ფედერაციის პრეზიდენტის ეგემენ ბაღიშისა და მისი თანმხლები პირების მიღებისას აღნიშნა: „შესაძლებელია ევროკავშირის არჩევანი თურქეთი არ არის, მაგრამ თურქეთს ევროკავშირის გარდა სხვა არეალშიც გააჩნია არჩევანი. რასაკვირველია, ეს არეალები ვერ ჩამოყალიბდება მოკავშირეობის ისეთი ფორმებით, როდესაც წევრად, როგორც კილინჯი ამბობს, ირანიც მოიაზრება. მაგრამ თურქეთს თავისი ღერძის გარშემო ყოველთვის აქვს არჩევანი ჰქონდეს დიდი ძალა ისეთი სახით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მისი სისტემის იდეოლოგიას“.

თურქი ექსპერტები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და პროგნოზებსაც აკეთებდნენ იმაზხე, თუ რა სიკეთის მოტანა შეეძლო მათი ქვეყნის შესვლას ევროკავშირში. მრეწველობისა და ვაჭრობის იმდროინდელ მინისტრ ალი ჯონკუნის განცხადებით, ასეთ შემთხვევაში თურქეთში ინვესტიციების რაოდენობა სწრაფად გაიზრდება. კერძო სექტორის აღორძინებით კი შესაძლებელი გახდება ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარი სერიოზული პრობლემების გადაჭრა. მ. ილმაზის შეფასებით, ევროკავშირში თურქეთის სრული წევრობის საკითხის განხილვისთანავე ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოსვლის ბუმი დაიწყება. მისი თქმით, თურქეთს თავისუფლად შეუძლია უზრუნველყოს წელიწადში საშუალოდ 10 მილიარდი დოლარის უცხოური კაპიტალის შემოსვლა ქვეყანაში.

სავაჭრო პალატების გაერთიანებულმა კავშირმა გამართა კონფერენცია დევიზით „ევროკავშირის სრული წევრობის ზემოქმედება თურქეთის ეკონომიკასა და ბიზნესის სამყაროზე“. კონფერენციის გახსნისას მ. ილმაზმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „თურქეთში უცხოური კაპიტალის შემოსვლა ახლო პერიოდში უფრო დიდ მნიშვნელობას მოიპოვებს. ეკონომიკური კრიზისიდან მთლიანად გამოსვლა შეიძლება მოხდეს ევროკავშირთან შეგუების პროცესის დაჩქარებით და უფრო მაღალი საფეხურების დაძლევით“. მან ამის ნიმუშად ესპანეთი, პორტუგალია და

საბერძნეთი მოიყვანა. „ყველა კანდიდატი ქვეყნის მდგომარეობა ასეთი იყო, თურქეთისაც ასეთივე იქნება“ განაცხადა მან.

2004 წლის 26-29 ივნისს სტამბოლში გამართულმა ნატოს სამიტმა თურქეთსა და დასავლეთს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების წინააღმდეგობრივი ხასიათი აჩვენა. ერთის მხრივ, თურქეთი ნატოს მნიშვნელოვანი წევრია. ამ კონტექსტში ანკარამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს რადიკალური ისლამის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე, ერაყსა და ავღანეთში სტაბილურობის დამყარებაში. მეორეს მხრივ, ევროკავშირის დამოკიდებულება მასში თურქეთის გაწევრიანებაზე პესიმისტურია. თუმცა, თავის მხრივ, თურქეთს ისლამურ სამყაროში სტაბილიზაციის დამყარებისა და პოლიტიკურ ცვლილებებზე უმტკივნეულოდ გადასვლის თვალსაზრისით, შეუძლია მისაბაძი მაგალითი გახდეს. მას ამ მიმართულებით ბევრად მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს.

დღეისთვის თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება სულ უფრო ბუნდოვანი ხდება, მაშინ, როდესაც ეს ქვეყანა აქამდე არნახული ენერგიით აფართოებს საკუთარ კონტაქტებს უმეტესად მუსლიმურ ქვეყნებთან, ამ ფონზე დიდი ხნის განმავლობაში ისმება კითხვა - ხომ არ იხრება ეს მაშტაბური საერო მუსლიმური სახელმწიფო უფრო აღმოსავლეთისაკენ, ვიდრე დასავლეთისაკენ?

როდესაც აშშ-ს პრეზიდენტი ბ. ობამა 2012 წლის 25 აპრილს თურქეთს სტუმრობდა (ამ სიმბოლურმა ჟესტმა ხაზი გაუსვა თურქეთის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას), მან განსაკუთრებით აღნიშნა ამ ქვეყნის, როგორც ხიდის როლი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აღიარა მისი შუამავლობის მნიშვნელობა არაბ - ისრაელის კონფლიქტში, ასევე, მთელი თავისი პოლიტიკური წონით აშკარად მხარი დაუჭირა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას. ზოგიერთი ექსპერტი ვაშინგტონსა და ბრიუსელში ეჭვქვეშ აყენებს თურქეთის, როგორც პარტნიორის სანდოობას. ბევრი თურქი კი საკუთარ თავს ეკითხება, ხომ არ არის უმჯობესი მათ თვითონ უარი სთქვან უარი ევროკავშირზე, ვიდრე ამას ბლოკი გააკეთებს.

ამას ისიც ემატებოდა, რომ თურქეთი ბოლო ხანებში გარკვეულწილად ნაკლებად ავლენდა სურვილს შეესრულებინა ხიდის როლი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ასე, ამ ქვეყანამ ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებს მანევრებში მონაწილეობაზე უარი უთხრა. ამან კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა ანკარასა და თელ-ავივს შორის, რომელიც უკვე მანამდეც საკმარისად გართულებული იყო. ამის დადასტურერებისთვის საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის მძაფრი კრიტიკა, რომლითაც თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანი გამოვიდა შვეიცარიის ქალაქ დავოსში მსოფლიოს ლიდერების წინაშე ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესის წინააღმდეგ ღაზას სექტორში თელ-ავივის სამხედრო მოქმედებების გამო.

მაღალჩინოსანი თურქი ჩინოვნიკები ამბობენ, რომ ბატონმა ერდოღანმა, რომელიც ისრაელსა და სირიას შორის შუამავლის როლს ასრულებდა ღაზას სექტორში კონფლიქტის დაწყებამდე სულ რაღაც რამდენიმე კვირით ადრე, ჩათვალა, რომ მას უღალატეს, რამეთუ ისრაელმა წამოიწყომ აგრესია, დასრულებული უდანაშაულო მუსლიმების უაზრო მკვლელობით. იმავდროულად, ზოგიერთ დასავლეთელ დიპლომატს მიაჩნდა, რომ თურქეთმა ირანთან დაკავშირებული ქმედებებით შეშფოთების საფუძველი მისცა მათ.

როდესაც გამოქვეყნდა ირანის წინანდელი საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალური შედეგები, თურქეთი იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, ვინც პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადი ნეჯადს მიულოცა ხელახალი არჩევა. თეირანში ვიზიტისას კი, ბატონმა რ. ერდოღანმა განაცხადა, რომ დასავლეთი ორმაგი სტანდარტების პრაქტიკას მიმართავს, როდესაც ზეწოლას ახდენს ირანზე ამ ქვეყნის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. „მათ, ვინც ბირთვული განიარაღებისკენ მოუწოდებს, პირველ რიგში ეს პროცესი საკუთარ ქვეყნებში უნდა დაიწყოს“, - ხაზგასმით აღნიშნა მან.

საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ხმამაღლა აპროტესტებდა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას და ამტკიცებდა, რომ ეს ქვეყანა გეოგრაფიულად ევროპას არ განეკუ-

თვნება. ამ საკითხზე ასევე ეჭვი გამოსთქვა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმაც. ბევრმა თურქმა მიიჩნია, რომ ევროკავშირში მათი ქვეყნის მიღება არ სურთ მუსლიმების დიდი რაოდენობის გამო.

შეკითხვაზე, თუ რატომ დაინტერესდა თურქეთი სხვა მიმართულებით, ანალიტიკოსების ნაწილი პასუხობს, რომ ქვეყანას ამისკენ სხვადასხვა კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები უბიძგებენ.

სტამბოლის შეხვედრაზე კი ევროპის საკითხების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე რობერტ უექსლერმა ზემოაღნიშნულ შეკითხვაზე განაცხადა: „ევროპა დააკვირდი საკუთარ ქმედებებს და საკუთარ მოსაზრებებს“. პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი ერსინ კალაიჩიოღლუ აღნიშნავდა, რომ გლობალურ ფინანსურ კრიზისს ევროპული ეკონომიკის შემცირება მოჰყვა, რამაც თურქეთს, მსხვილ ექსპორტიორს, ახალი ბაზრების მოძიების დაწყება აიძულა. ამ პოლიტოლოგსაც და მის სხვა კოლეგებსაც მიაჩნდათ, რომ მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის, როგორც მუსლიმური ფესვების მქონე სოციალურად კონსერვატიული პარტიის ლიდერები თავს გაცილებით კომფორტულად ერ - რიადში, დამასკოსა და ბაღდადში გრძნობენ, ვიდრე პარიზში, ლონდონსა და რომში, თუმცა დღეს ეს სიტყვები ნაკლებად შეეხება დამასკოსა და ბაღდადს.

ევროკავშირთან მოლაპარაკებების ნაწილობრივ ჩავარდნასაც კი შორსმიმავალი შედეგები მოჰყვება. თურქეთი - აშშ-სა და ევროპისთვის შეუცვლელი პარტნიორია, როგორც ქვეყანა, რომელიც ირანს, ერაყს და სირიას ესაზღვრება. ამასთან, თურქეთი დემოკრატიის, კაპიტალიზმისა და ისლამის ერთობლიობის უზარმაზარი სიმბოლოა.

დღეს მოლაპარაკებები თურქეთის ევროკავშირში შესვლის შესახებ საკმაოდ გართულებულ ვითარებაშია. ბევრ სხვაწსთან ერთად, პრობლემად რჩება კვიპროსის საკითხის გადაუჭრელობა, ამას ემატება კიდევ მეტოქეობა საბერძნეთთან ეგეოსის ზღვის შელფის გამო. პირველად მრავალი წლის განმავლობაში საქმიანი წრეების წამყვანმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ყოველთვის პროევროპელები იყვნენ, დააფიქსირეს თავისი უარ-

ყოფითი დამოკიდებულება ევროკავშირში თურქეთის მიღების გაჭიანურებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ჰასან არატმა, თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი დეველოპერული კომპანიის ხელმძღვანელთა წარმომადგენელმა, განაცხადა: „ჩვენ თურქები - ამაყი ხალხი ვართ და არ გვინდა იმ სახლში შესვლა, სადაც ჯერ დაგვპატიჟეს, მაგრამ შემდეგ ყოველ ჯერზე მასპინძელი ცხვირწინ კარს გვიკეტავს“.

ქვეყნის შელახული თავმოყვარეობის მიუხედავად, თურქეთის ოფიციალური წარმომადგენლები და ანალიტიკოსები ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ, რომ მათი ქვეყანა არ აპირებს დასავლეთის მიტოვებას. თურქეთის იმდროინდელი მინისტრი ევროპის საკითხებში ეჯემენ ბაჯისი არ ეთანხმებოდა იმ მოსაზრებას, რომ თურქეთის პოლიტიკა აღმოსავლეთისკენ იცვლის ორიენტაციას. თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ის აცხადებდა, რომ ზოგიერთი მისი ქვეყნის მხრიდან მეზობლებთან ინტეგრაციის მხარდამჭერი იყო, ახლა კი ეჭქვეშ აყენებს იმ მოლაპარაკებათა გაგრძელების მიზანშეწონილობას, რომლის დასრულებაც, როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით არ განიხილება. მისი სიტყვებით, აღმოსავლეთ ქვეყნებთან კონტაქტების გააქტიურება, სირიასთან საზღვრის გახსნა (ეს იმ დროს ეხებოდა), სომხეთთან დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზებაზე ისტორიული შეთანხმების ხელმოწერა (ესეც შეიცვალა), ასევე ირანთან ურთიერთქმედებათა გაფართოება - ეს ყველაფერი თურქეთს მისი დასავლელი მოკავშირეებისთვის უფრო ეფექტურ შუამავლად აქცევს. „ნებისმიერი ხიდი, თუკი მას ერთი საყრდენი მყარი აქვს, მეორე კი სუსტი, დიდხანს ვერ იარსებებს“, - აღნიშნა ბატონმა ბაჯისმა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრ ერდოღანის იმდროინდელი მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში იბრაჰიმ კალინი ამბობდა, რომ ,,თურქეთის ახალი, უფრო გახსნილი საგარეო პოლიტიკის დასავლეთელი კრიტიკოსები ორმაგ სტანდარტებს იყენებენ. როდესაც შეერთებული შტატები რუსეთს წინადადებებს სთავაზობს, ამას ყველა ადიდებს და დიპლომატიის ახალი ეპოქის დასაწყისს უწოდებს, მაგრამ როდესაც თურქეთი ირანთან საკუთარი კავშირების გაფართოვებას ცდილობს, ყველა

კითხულობს, ეს ხომ არ ნიშნავს ორიენტაციის შეცვლას - ო?“ (ხოზრევანიძე, 2019:80).

ბევრი გავლენიანი თურქი სამხედრო დარწმუნებული იყო და არის იმაში, რომ ევროკავშირის მიერ წამოყენებული პირობების უმრავლესობის შესრულება ქვეყნისათვის დამღუპველია. ბოლო დროს მათ ეთანხმებოდნენ საზოგადოების სხვა ფენის წარმომადგენლებიც. ქვეყანაში უფრო და უფრო პოპულარული გახდა აზრი იმის შესახებ, რომ სინამდვილეში გაწევრიანების პირობით ევროკავშირი ანკარას აცდუნებს და ცდილობს თურქეთი აიძულოს წავიდეს დათმობაზე ქურთების და კვიპროსის საკითხებში, საბოლოოდ გადაწყვიტოს ტერიტორიული დავები საბერძნეთთან ეგეოსის ზღვაში მდებარე კუნძულების და შელფის გამო შემდეგ კი კარს მიუხურავს დასუსტებულ და დანაწევრებულ ქვეყანას.

დასკვნა

ამგვარი დასკვნა არც თუ ისე მართებული ჩანს სხვადასხვა მიზეზების გამო. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი არის აშშ-ს მისწრაფება რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს თავისი გამორჩეულად წამყვანი პოზიციები, დღეს არაბიპოლარულ სამყაროში რომ უკავია. მისწრაფება - რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს თავისი ლიდერობა ფაქტიურად ერთპოლუსიან სამყაროში და არ დაუშვას სხვა ზესახელმწიფოს წარმოქმნა (გინდ ჩინეთის, გინდ რუსეთის, გინდ ვინმე სხვის სახით) აიძულებს მას ეძებოს სანდო მოკავშირეები. ერთ-ერთ ამგვარად აშშ-ს თურქეთიც მიაჩნია, ამიტომ ყველანაირად შეეცდება გააძლიეროს ამ უკანასკნელის პოზიციები ევროკავშირში მიღებითაც. მითუმეტეს, რომ ბევრი მისი ერთგული მოკავშირე ევროკავშირში - ასეთი ვითარება გახდება საწინდარი მისი გავლენის გაზრდისა მთლიანად თვით ამ ალიანსზე. თუ ამას დავუმატებთ ახალ მომენტებსაც - სულ ცოტა ხნის წინ დაწყებულ თურქეთის კონფლიქტს რუსეთთან და მეტად მძიმე პრობლემას, გამოწვეულს თურქეთის გავლით ევროპაში უკვე ჩასული და გზად მიმავალი ლტოლვილების მიზეზით, რამაც კინაღამ ეჭვის ქვეშ დააყენა თვით ევროკავშირის ერთიასნობა, გასაგები იქნება, რომ

დასავლეთი და, პირველ რიგში აშშ, ასე იოლად ვერ დაუშვებენ უარისთქმას თურქეთისთვის ევროკავშირში მიღებაზე, თუმცა იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მოცემული საკითხის ამნაირი გაურკვეველი მდგომარეობა საკმაოდ მომგებიანი ჩანს ევროკავშირისთვის, რადგან საშუალებას იძლევა თურქეთმა უფრო მეტად დააფასოს დემოკრატიული ღირებულებებიმ, ქვეყანაში შენარჩუნდეს და გაძლიერდეს არაექსტრემისტული ძალების გავლენა. ეს კი უფრო უსაფრთხოს გახდის ევროპის სამხრეთ საზღვრებს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

ანთელავა, გ. (2004). *თანამედროვე ევროპა და თურქული მიგრაცია (1960-1990-იანი წლები).* თბილისი;

ბატიაშვილი, ზ. (1999). *ცნობარი თურქეთზე.* საქართველოს სტრატეგიული კვლევების ცენტრი. ბიულეტენი, №23, თბილისი;

გაჩეჩილაძე, რ. (2003).*ახლო აღმოსავლეთი (სივრცე, ხალხი, პოლიტიკა).* თბილისი;

კომახია, მ. (2000). *თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები.* თბილისი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი, №41;

მაკარაძე, ე. (2000). *თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები XXსაუკუნის 90-იანი წლები.* ბათუმი;

მენთეშაშვილი, ზ. (2004). *საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია XXI საუკუნეში.* საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. I. თბილისი, თსუ გამომცემლობა;

ხოზრევანიძე, ლ. (2019). *თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები.* ბათუმი;

REFERENCES

Antelava, G. (2004). *Tanamedrove Evrop'a da Turkuli Migratsia (1960-1990-iani Ts'lebi) [Modern Europe and Turkish Migration (1960-1990)].* Tbilisi;

Bat'iashvili, Z. (1999). *Tsnobari Turketze [Reference on Turkey].* Sakartvelos St'rat'egiuli K'vlevebis Tsent'ri. Biulet'eni, №23, Tbilisi;

Gachechiladze, R. (2003). *Akhlo Aghmosavleti (Sivrtse, Khalkhi, P'olit'ik'a) [Middle East (space, people, politics)]* Tbilisi;

K'omakhia, M. (2000). *Turket-Evrok'avshiris Urtiertobebi [Turkey-EU Relations].* Tbilisi, Sakartvelos St'rat'egiuli K'vlevebisa da Ganvitarebis Tsentri. Biulet'eni, №41;

Makaradze, E. (2000). *Tanamedrove Turketis Akt'ualuri Sak'itkhebi XX Sauk'unis 90-iani Ts'lebi. [Current issues in modern Turkey 90s of the XX century].* Batumi;

Menteshashvili, Z. (2004). *Sagareo P'olit'ik'a, Saertashoriso Urtiertobebi da Dip'lomat'ia XXI Sauk'uneshi [Foreign Policy, International Relations and Diplomacy in the XXI Century].* Sagareo P'olitika da Dip'lomat'ia, T'I. Tbilisi, TSU Gamomtse-mloba;

Khozrevanidze, L.(2019). *Turketis Sagareo P'olit'ik'is Tanamedrove Asp'ekt'ebi [Modern Aspects of Turkish Foreign Policy].* Batumi.

The problem of Turkey and its unification in the European Union

Lasha Khozrevanidze
Doctor of International Relations,
Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Georgia

Abstract

In the twenties of the twentieth century, special political processes for the future of the country began in Turkey. In particular, Kemal Ataturk took over the presidency and created the Republic of Turkey, which laid the foundation for the transfer of the Turkish people to the European vector. All of the above opened a new window on Turkey-EU relations. It should be noted that the history of relations between Turkey and the EU dates back to 1987, when official Ankara applied for EU membership. For the successful coronation of the above process in 1990-2000. The Republic of Turkey has implemented a number of important reforms within the country that have met the declared criteria for an EU member state. The above-mentioned reforms were not delayed and Turkey received the first signal from the EU, which was reflected in the Republic of Turkey's accession to the European Customs Union in 1995.

The "Justice and Prosperity Party" came to power in Turkey with a majority in 2002, with the aim of joining the European Union as the main political ideology of the party. The ruling party continued its ongoing political reforms within the country, which included improving its legislative framework, as well as a comprehensive package of constitutional amendments that were to become the basis for meeting the criteria for Turkey's EU membership.

The article discusses a number of problems and lists the historical preconditions that prevent the Republic of Turkey from joining the

European Union. It will be internal political crises or legislative gaps in the country.

Keywords: Turkey; EU; Kemal Ataturk; Erdogan; Justice and Prosperity Party.